

საქართველო



GEORGIA

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

ქ. ზუგდიდი

05.01.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №3

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹ მუხლის და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილების დანართის 81-ე და 82-ე მუხლის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.
1. საკრებულოს აპარატს დაევალოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი გადაეცეს საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს.
3. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი შესწავლილ და განხილულ იქნას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის მიერ, რომელმაც პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წარმოდგინოს შესაბამისი დასკვნა, მ/წლის 15 იანვრამდე.
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12.)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



მანუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2018 წლის.....

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 93-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების საფუძველზე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის, მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შემოღებულ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

მუხლი 2.

დადგინდეს მოსაკრებლის განაკვეთები სახეობის მიხედვით:

- ა). თითოეულ სამორინეს მაგიდაზე - კვარტალში 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;
- ბ). თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2 500 (ორიათას ხუთასი) ლარი;
- გ). თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10 %;
- დ). სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 270 000 (ორას სამოცდაათი ათასი) ლარი;
- ე). ლატარიის მოწყობაზე -ლატარიის ბილეთებზე რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები თანხის 20 %;
- ვ). აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 7 000 (შვიდი ათასი) ლარი;
- ზ). თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 8 000 (რვა ათასი) ლარი;

მუხლი 3.

წამახალისებელი გათამაშების მომწყობი ორგანიზატორი ვალდებულია ყოველკვარტალურად ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში წარადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია და გადაიხადოს მოსაკრებელი არაუგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მუხლი 4.

წამახალისებელი გათამაშების მომწყობის (ორგანიზატორის) ყოველკვარტალური მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშო კვარტალში გათამაშებული საპრიზო ფონდის მიხედვით. ამასთანავე, წამახალისებელი გათამაშების ბოლო საანგარიშო კვარტალში მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საპრიზო ფონდის ნარჩენი ღირებულებით (თანხით).

მუხლი 5.

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობის მომწყობი (ორგანიზატორი) ვალდებულია ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში ყოველკვარტალურად წარადგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია და გადაიხადოს მოსაკრებელი არაუგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მუხლი 6.

სამორინეს სათამაშო მაგიდების, სათამაშო აპარატებისა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროების მოწყობისას თამაშების ორგანიზატორები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს იხდიან მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნისას.

მუხლი 7.

მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირება ეთხოვოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელო, გურია, ზემო სვანეთის სამმართველოს.

მუხლი 8.

შემოღებული მოსაკრებელი მთლიანად ჩაირიცხოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 9.

დადგენილება გაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელო, გურია, ზემო სვანეთის სამმართველოს.

მუხლი 10.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა წოწერია